სააქციო საზოგადოება კავკასრეესტრი

0186, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71,
მე-10 ბლოკი, მე-7 სართული.
ტელ: (+995) 32-2 500 211
ელ.ფოსტა: info@kavkasreestri.ge

J.S.C. KAVKASREESTRI

Floor 7, Block 10, 71 Vazha-Pshavela Ave.,
Tbilisi 0186, Georgia
Phone: (+995) 32-2 500 211
E-mail: info@kavkasreestri.ge

№30-22
06.05.2022 წ.

სს „კავკასრეესტრის“ აქციონერებს

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 30 მაისს, 14:00 საათზე აუდიო/ვიდეო საკონფერენციო ზარის საშუალებით ჩატარდება სს „კავკასრეესტრის" (ს/ნ 211369115, იურიდიული მის: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N74ა) აქციონერთა მორიგი საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. სს „კავკასრეესტრის“ 2021 წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება;
2. 2022 წლის ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად აუდიტორული კომპანიის არჩევის შესახებ.

სს „კავკასრეესტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2022 წლის 5 მაისი. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ ამ დღისათვის.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება განთავსებულია სს „კავკასრეესტრის“ ვებ-გვერდზე (www.kavkasreestri.ge).

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე აქციონერს არ აქვთ ინტერნეტზე წვდომა, შეგვიძლია შემოგთავაზოთ კრებაში მონაწილეობის ორი ვარიანტი:

ა) აქციონერები დროებით მივიდნენ ისეთ ადგილას, სადაც ექნებათ ინტერნეტთან წვდომა (მაგალითად, რომელიმე სხვა აქციონერთან); ან

ბ) წინასწარ მოგვწერონ ელ. ფოსტის მისამართზე info@kavkasreestri.ge, როგორ სურთ ხმის მიცემა დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით. მათი სურვილი გაცხადებული იქნება კენჭისყრის დროს და აისახება კრების ოქმში.

კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში, 10:00-დან 17:30 საათამდე, სს „კავკასრეესტრის“ აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს თავად სს "კავკასრეესტრი", შეგიძლიათ შეამოწმოთ კრებაში თქვენი მონაწილეობის უფლება, რისთვისაც რეგისტრატორში ელექტრონულად (დასკანერებული სახით), უნდა გამოაგზავნოთ სათანადო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი ელ. ფოსტის მისამართზე info@kavkasreestri.ge.

- აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.
- წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონულად.
- ბირჟის ხელმძღვანელ პირსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვთ უფლება საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც აქციონერთა წარმომადგენლებმა.

2022 წლის 30 მაისს, 13:30 საათამდე ხმის უფლების მქონე აქციონერთა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა პირადად უნდა გაიაროს დისტანციურად რეგისტრაცია კრებაზე დასასწრებად, რისთვისაც აქციონერმა (ფიზიკურმა პირმა) ელექტრონულად (დასკანერებელი სახით) უნდა გამოაგზავნოს თავისი პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირმა, ან მისმა მინდობილმა პირმა - პირადობის მოწმობის/პასპორტის და (საჭიროებისას) შესაბამისი მინდობილობის ასლი ელ. ფოსტის მისამართზე info@kavkasreestri.ge. ამავდროულად ვიდეო ზარის მეშვეობით მოხდება კრებაში მონაწილე პირის იდენტიფიკაცია-ვერიფიკაცია, რასაც უზრუნველყოფს „კავკასრეესტრის" შესაბამისი თანამშრომელი და კრებაზე დამსწრე ნოტარიუსი. იწარმოებს ზემოაღნიშნული საიდენტიფიკაციო ქმედებების და კრების მიმდინარეობის ამსახველი აუდიო/ვიდეო ზარის ჩაწერა.

აუდიო-ვიდეო ზარის დეტალები (ინტერნეტზე შესაბამისი ბმული და პაროლი) მოგეწოდებათ კრებამდე რამდენიმე დღით ადრე ელ. ფოსტის ან ტელეფონის მეშვეობით. კრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დამატებით შეგიძლიათ გაიაროთ კონსულტაცია ტელეფონით ჩემთან (მობილური ტელეფონის ნომერი: 570 10 70 08).

პატივისცემით,

თამაზ ხიზანიშვილი

დირექტორი

დანართი N1

სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორის რეკომენდაციები სს "კავკასრეესტრის" აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგთან დაკავშირებით

1. **დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:**
   რეკომენდაცია:

   დამტკიცდეს სს „კავკასრეესტრის" 2021 წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება. მოწონებულ იქნას ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობა.

2. **დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:**
   რეკომენდაცია:

   სს „კავკასრეესტრის" 2022 წლის ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად არჩეულ იქნას აუდიტორული კომპანია შპს „მოორ ეიბისი" (ს/ნ 206331691).